სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

17 / ივლისი / 2024 წ.

KA080154139448324

№ **1957**

განკარგულება

შპს „პარამეტრის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT230013352;

შესყიდვის ობიექტი: 45100000 – სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „პარამეტრი“ (ს/ნ: 422934800);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 13 ივნისს წარმოდგენილ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 12 ივნისის №42-4224164163 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №4872), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „პარამეტრის“ (ს/ნ: 422934800) მიერ NAT230013352 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2023 წლის 17 ივლისის № 133 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ პრეტენდენტს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის Parameter777@gmail.com მეშვეობით, 2024 წლის 14 ივნისის № 1807 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 27 ივნისს სააგენტოში წარმოადგინა 2024 წლის 27 ივნისის № 1/26.06.2024 განმარტება (რეგისტრაციის №5335) მის მიერ NAT230013352 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2023 წლის 17 ივლისის №133 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2023 წლის 17 ივლისის № 133 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც შეწყდა ხელშეკრულება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტებით, საჩოგბურთო მოედნის მოსაწყობად გამოიყენება არა კაუჩუკის, არამედ აკრილის საფარი, თუმცა, რადგანაც პროექტსა და ხარჯთაღრიცხვაში მითითებული იყო კაუჩუკის საფარი, მიმწოდებელმა იმოქმედა კეთილსინდისიერად, პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა სასამართლოს.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2023 წლის 17 ივლისს, NAT230013352 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „პარამეტრს“ (ს/ნ: 422934800) შორის დაიდო № 133 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს 2023 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით უნდა შეესრულებინა ქალაქ ფოთში კუნძულის სანაპიროზე მდებარე მინი-სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 187 424,54 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2023 წლის 15 ოქტომბერი.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმებებით ცვლილებები განხორციელდა ხარჯთაღრიცხვასა და სამუშაოების გეგმა-გრაფიკში. ამასთან, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 10 ივნისი, ხოლო მიმწოდებელს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 2024 წლის 3 ივნისის ჩათვლით განესაზღვრა ვადა.

4.3. საზედამხედველო ორგანიზაციის, შპს „ექსპერტ ჰაუსის“, 2024 წლის 19 აპრილის № 07/163-III წერილის მიხედვით, ფერადი მონოლითური საფარი მოწყობილი იყო უხარისხოდ, რის გამოც შეუძლებელი იყო სპორტული ღონისძიებების ჩატარება.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 19 აპრილის № 42-4224110153 წერილის მიხედვით, მოედნის ზედაპირი იყო უხარისხო, რაც არ აკმაყოფილებდა ჩოგბურთის თამაშისთვის საჭირო აუცილებელ სტანდარტს. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა 20 კალენდარული დღის ვადაში გამოესწორებინა ხარვეზი.

4.5. საზედამხედველო ორგანიზაციის, შპს „ექსპერტ ჰაუსის“, 2024 წლის 6 ივნისის № 07/229-III წერილით ირკვევა, რომ სპორტულ მოედანზე მოწყობილი ფერადი მონოლითური საფარი იყო უხარისხო. ამავე წერილის მიხედვით, მიმწოდებელს ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრა გონივრული ვადა, თუმცა მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხარვეზის აღმოფხვრა.

4.6. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის 2024 წლის 6 ივნისის № 03-4224158125 წერილის მიხედვით, დამატებითი ვადის განსაზღვრის მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხარვეზის აღმოფხვრა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება. ამავე წერილით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების შეწყვეტა.

4.7. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 7 ივნისის №ბ42.42241594 ბრძანებით, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, შეწყდა ხელშეკრულება და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო.

4.8. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა შეასრულა 145 016,96 ლარის სამუშაო, რაც ხელშეკრულების ღირებულების 77%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „პარამეტრს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2023 წლის 17 ივლისის № 133 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. განსახილველ შემთხვევაში სააგენტო ყურადღებას ამახვილებს საქმეში არსებულ საზედამხედველო ორგანიზაციის, შპს „ექსპერტ ჰაუსის“, 2024 წლის 6 ივნისის №07/229-III წერილზე, რომლითაც ირკვევა, რომ სპორტულ მოედანზე ფერადი მონოლითური საფარი უხარისხოდ იყო მოწყობილი, ხოლო ხარვეზის გამოსწორების მიზნით მიმწოდებლისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხარვეზის აღმოფხვრა. მიმწოდებლის განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტო აღნიშნავს, რომ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მიღებამდე მიმწოდებლისათვის ცნობილი იყო თუ რა მასალით მოუწევდა სპორტული მოედნის მოწყობა, რასაც დაეთანხმა და, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებით, იკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ დროს შესრულების ვალდებულება, კერძოდ, ფერადი მონოლითური კაუჩუკის საფარის მოწყობის ვალდებულება. საგულისხმოა ისიც, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს არ წარმოუდგენია სასამართლოს განჩინება, რომლითაც სააგენტოს შეეზღუდებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამდენად, სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 77%. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „პარამეტრის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „პარამეტრს“ (ს/ნ: 422934800) 2024 წლის 18 ივლისს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	ლევან რაზმაძე